დოლარი ლარის წინააღმდეგ

ჟურნალი ”ლიბერალი” – 3-17 ივნისი, # 2, 2009

ლადო პაპავა, ეკონომიკის ექსპერტი

საქართველოში ერთიან ეროვნულ ვალუტაზე უარის თქმის მცდელობა ჯერ კიდევ კუპონის ეპოქაში იყო. მაშინდელი მაშინდელი მთავრობი ზოგიერთი წევრის აზრით, საქართველოს არ სჭირდებოდა ერთიანი ეროვნული ვალუტა. მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, შემოვიღეთ ლარი, რომელმაც არა მხოლოდ კუპონი, არამედ მაშინ ძალიან გავრცელებული რუსული რუბლიც ჩაანაცვლა.

დღეს საქართველოში დიდი ოდენობითაა დოლარიც და ევროც. მაგრამ ოფიციალურად ანგარიშსწორება მხოლოდ ლარში ხდება. ტრადიციულად ქართველები, ისევე როგორც საერთაშორისო დონეზე არაკონვერტირებადი ვალუტის მქონე ქვეყნების მოსახლეობა, დაგროვებისათვის ძირითადად უცხოური ვალუტას - უფრო მეტად აშშ დოლარს, ასევე ევროსაც იყენებენ. ისიც აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მოსახლეობის მხრიდან დანაზოგები ლარში იზრდება. ჩვენი ბანკები მოსახლეობას ლარში უფრო მეტ საპრონცენტო განაკვეთებს სთავაზობენ.

ოფიციალური არხი, რომელითაც ხდება მაგალითად, ევროზე გადასვლა, ევროკავშირის წევრობაა. მაგრამ ესეც არ არის საკმარისი პირობა. ვიცით, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნები ევროკავშირის წევრები არიან, მაგრამ ჯერ ვერ გადავიდნენ ევროზე, რადგანაც ევროზონა არ აიღებს ვალდებულებას ამ ქვეყნების ევროთი უზრუნველყოფაზე. იმ შემთხვევაში, თუ არ ხარ ოფიციალურად ინტეგრირებული სავალუტო ზონაში, სადაც ამ ზონის ყველა სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ერთიანი სავალუტო პოლიტიკის გატარებაზე, მაშინ, როცა ვალუტის ემიტენტ ქვეყანაში პრობლემები ჩნდება, ეს ავტომატურ რეჟიმში შენს ქვეყანაზეც ვრცელდება.

უცხოურ ვალუტაზე გადასვლის შემთხვევაში ქვეყანა უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველი ხდება უწინარეს ყოვლისა სპეკულაციური ოპერაციების განსახორციელებლად. ყველაზე უფრო სწრაფი ფული სპეკულაციურ ოპერაციებში კეთდება. აქ გაკეთდება ერთი დიდი ბირჟა და ბიზნესის ანი და ბანი იქნება სავალუტო სპეკულაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბიზნესის ერთ-ერთი ფორმაა, ეკონომიკის რეალური სექტორის განუვითარებლობას

ნიშნავს. საბოლოოდ, კრიზისებისგან დაუცველი ხდები და ამავდროულად, ეკონომიკაც არ ვითარდება.

ჩვენთან 70%- ზე მეტი აშშ დოლარი შემოდის, 25% -მდეა ევრო, დანარჩენი 5% სხვა ვალუტას უკავია. ამ პირობებში, ბუნებრივია, ყველაზე მეტად შემოვა დოლარი, რაც საცალო მიმოქცევაში მთელ რიგ პრობლემებს შექმნის. საჭირო გახდება წვრილი ფულის, მონეტების შემოტანა, აშშ-ის ცენტრალური სარეზერვო სისტემა კი არავითარ ვალდებულებას არ აიღებს საქართველოზე. რაც შეეხება ევროს, ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობები ჯერ-ჯერობით საკმაოდ შეზღუდული გვაქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს საქართველოს უარყოფითი სავარჭრო ბალანსი აქვს - ჩვენი იმპორტი 4-ჯერ მეტია ექსპორტზე, საგარეო ვაჭრობით ქვეყნიდან უცხოური ვალუტა უფრო მეტად გაედინება, ვიდრე შემოდის. დღეს ამ დანარკარგის დანაბალანსება ძირითადადდონორთა დახმარებებით, ნაკლებად უცხოური ინვესტიციებითა და საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი მოქალაქეების ფულადი გზავნილებით ხდება. ინვესტიციები და ფულადი გზავნილები გლობალური კრიზისის ფონზე შემცირდა. როგორ უნდა გადავიდეთ სხვა ვალუტაზე - დონორთა დახმარების ხარჯზე?

გარდა ეკომომიკურისა, არის კიდევ ერთი ფაქტორი. ეროვნული ვალუტა ისეთივე სიმბოლოა ქვეყნის სახელმწიფეობრისა, როგორიცა დროშა, ჰიმნი და გერბი. როცა ქვეყანა შედის ერთიან სავალუტო ზონაში, ის შეგნებით ამბობს საკუთარ ვალუტაზე უარს და ყველა ქვეყანა ერთობლივად იღებს პასუხისმგებლობას სავალუტო რეგულირებაზე, როგორც ევროკავშირშია. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ეს ”ცალმხრივი სიყვარულია”. როგორც ცნობილია ”ცალმხრივი სიყვარულის” დროს ბედნიერი მაინც ვერ იქნები!